ლადო პაპავა: კრემლმა აფხაზეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკა შეიძლება შეცვალოს

გაზეთი "ახალი თაობა" – 18 ივნისი, № 166, 2008

რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსიის საშიშ მასშტაბებზე, დასავლეთის სავარაუდო რეაგირებაზე აფხაზეთში კრემლის მიერ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკაზე და იმაზე, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, არ ცვლის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პუტინის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას, "ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას ესაუბრა.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბების საშიშროებას?

– მიუხედავად იმისა, რომ ადრე რუსეთს აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადა ჰქონდა გამოცხადებული, აფხაზეთი რუსეთის სივრცეში ინტეგრირებული მაინც იყო. მოგეხსენებათ, აფხაზეთში ფულის მიმოქცევის საშუალებად რუსული რუბლი გამოიყენება. ხელფასები და პენსიები სწორედ რუსულ რუბლში გაიცემა. ახლა, როცა რუსეთმა აფხაზეთს სავაჭრო ემბარგო ოფიციალურად მოუხსნა, რუსეთის მთავრობამ აფხაზეთში აქტიური მოქმედება დაიწყო. აფხაზეთში რუსეთის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, პრაქტიკულად, იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაგრძელებაა, რომელიც მიზნად ამ ტერიტორიების სრულ ანექსიას ისახავს. რუსეთი აფხაზეთში თავის აგრესიულ პოლიტიკას ყველა მიმართულებით, წმინდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით ახორციელებს.

– თბილისი მოსკოვისაგან პუტინის 16 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს. ნათელია, რომ რუსეთი ქართული მხარის ამ მოთხოვნის შესრულებას არ აპირებს, მაგრამ ის, რომ თბილისის მოთხოვნა აბსოლუტურად მართებულია, ესეც ფაქტია.

– ჩვენი პოზიცია ძალიან სწორია. ჩვენი მთავრობა ამ საკითხს ზოგადადაც აყენებს და რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის კონტექსტშიც. ეს არის ერთადერთი სწორი მიდგომა და მე იმედს

ვიტოვებ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან დაპირისპირებაში საქართველოს მარტო არ დატოვებენ.

– აფხაზეთში დღეისათვის წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნესს ძირითადად რუსეთიდან აფხაზეთში ჩასული რუსეთის მოქალაქეები წარმათავენ. სხვადასხვა მონაცემებით, აფხაზეთში "არავისი ქონება" პრაქტიკულად აღარ დარჩა.

– აფხაზეთში დღეს ვინც ცხოვრობს, თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქეა, ასე რომ ახლა მათი გარჩევა ძნელი ხდება. ბიზნესი, რა თქმა უნდა, რუსულია. პირველ რიგში მთავარია პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ეს ის თემაა, როცა ეკონომიკა არ არის მთავარი. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მოსდევს ეკონომიკური ქმედებებიც. ქართული მხარის მოთხოვნა მაშინ გახდება რეალისტური და სიცოცხლისუნარიანი, როდესაც დასავლეთი რუსეთს აფხაზეთის ანექსიის შეწყვეტას აიძულებს.

– ქართველი პოლიტიკოსები აფხაზეთში ვითარების შეფასებისას ხშირად იყენებენ ტერმინს "ანექსიის მცდელობა". ფაქტია, რომ ვითარება იმაზე რთულია, ვიდრე სიტყვათშეთანხმება "ანექსიის მცდელობა". კრემლის გეგმების გათვალისწინებით პოლიტიკურად სწორი, გამართლებული და უპრიანი ხომ არ იქნებოდა თავად გვეღიარებინა, რომ აფხაზეთის ანექსია სახეზეა, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს.

– ამის მერე, ღმერთმა დაიფაროს, არის რუსეთის სახელმწიფოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. თუმცა, მე მაინც მინდა ვიფიქრო, რომ რუსეთში გონიერება ეყოფათ და ამას არ გააკეთებენ.

– ცხადია, რომ თავისივე ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთი ამ ნაბიჯს არ დგამს, მაგრამ რუსეთმა კიდეც რომ არ აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, აფხაზეთი ხომ ფაქტობრივად მის მიერ არის ანექსირებული.

– რუსეთს ურჩევნია აფხაზეთში იყოს გადაუწყვეტელი კონფლიქტი იმიტომ, რომ აფხაზეთში არსებული ვითარების შენარჩუნება მას საქართველოზე ზეწოლის საშუალებას აძლევს. რუსეთს ურჩევნია აფხაზეთი ჯერჯერობით არ აღიაროს. ასე, რომ მოიქცეს ყველა კარტები გაიხსნება და იგი თბილისზე ყველა ზეწოლის მექანიზმს დაკარგავს.

– ბატონო ლადო, რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს ევლისის ბოლოსთვის დაგეგმილი რუსეთ-ევროკავშირის სამიტისაგან იმ ფონზე, როცა ევროკავშირი აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურად ჩართვას ცდილობს?

– ევროკავშირი რაც უფრო მეტად ჩაერთვება ქართულ სინამდვილეში და კავკასიის რეგიონში, მით უკეთესი იქნება. მე ჯერჯერობით ვერ ვიტყოდი, რომ ევროკავშირის ქმედებანი კავკასიაში არის იმ დონეზე, რაც ამ რეგიონს სჭირდება. თუმცა იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ კონფლიქტებს ევროკავშირი უმოკლეს ვადებში გადაგვიწყვიტავს.

– ერთიცაა, ის რისი გაკეთებაც ევროკავშირმა შეიძლება მოინდომოს აფხაზეთში ეკონომიკური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, რუსეთი ამას აფხაზეთში, თბილისის გვერდის ავლით ისედაც აკეთებს.

– დასავლეთი ეკონომიკურ ბერკეტებს მნიშვნელოვან მექანიზმებად მიიჩნევს. აფხაზეთში რუსეთის მიერ წარმოებულ ეკონომიკურ ექსპანსიაზე დასავლეთის რეაქცია ქმედითი მაშინ იქნება, თუ დასავლეთი ამ საკითხების განხილვას სოჭის ოლიმპიადის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებას დაუკავშირებს. ვგულისხმობ, სოჭის ოლიმპიადისათვის ბოიკოტის გამოცხადება-გამოუცხადებლობის თემას. ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში უკვე იყო ასეთი ფაქტი. დასავლეთმა რუსეთის მიერ ავღანეთში ჯარების შეყვანას, მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტით უპასუხა. თუ კრემლი დარწმუნდა იმაში, რომ აფხაზეთის ფაქტობრივ ანექსიას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი დაემუქრა, მაშინ, შესაძლოა, რუსეთმა აფხაზეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკა შეცვალოს. თუ ასე მოხდა, მაშინ აფხაზეთში ძალიან ბევრი რამ მშვიდობიანად გადაწყდება.

ინტერპრესნიუსი